ფარშევანგი

საქმიანობის შესახებ

სოციალური საწარმო "**ფარშევანგი**" 2014 წელს დაფუძნდა ქ. ქუთაისში. საწარმო ქვილინგის ტექნიკის გამოყენებით მრავალფეროვან პროდუქციას ქმნის და სწორედ, შემოქმედებითი მიდგომაა გუნდის მთავარი მახასიათებელი. "**ფარშევანგის**" პროდუქცია ყოველთვის გამოირჩევა ნათელი ფერებითა და საინტერესო დიზაინით. "**ფარშევანგის**" **სოციალური მისიაა** შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სოციალურად დაუცველ პირთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სამუშაო ადგილების შექმნითა და დასაქმებით.

პროდუქცია

სოციალური საწარმო მომხმარებელს ქვილინგის ტექნიკით დამზადებულ პროდუქციას და ინკლუზიური განათლების დამხმარე მასალებს სთავაზობს. კერძოდ:

- **მისალოცი ბარათები (საახალწლო, საქორწილო, საბავშვო, სხვადასხვა სადღესასწაულო)**
- **სასაჩუქრე ყუთები და მოსაწვევები**
- **სუვენირები**
- **განმავითარებელი სახელმძღვანელოები ინკლუზიური განათლებისთვის**

კორპორატიული მომხმარებლისთვის „ფარშევანგის“ გუნდს მათ მოთხოვნებზე მორგებული პროდუქციის შეთავაზება შეუძლია.

სოციალური შედეგები

- სოციალური საწარმო ამ ეტაპზე ასაქმებს 11 ადამიანს, რომელთა ნაწილი მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელია
- ქვილინგის შემსწავლელი უფასო კურსების მეშვეობით, საწარმოში 59–მა პირმა შეისწავლა მისალოცი ბარათებისა და სუვენირების დამზადება

+995 591 646 425

farshevangi1@gmail.com

https://www.facebook.com/farshevangi1/

დუმბაძის N59/61, ქუთაისი, საქართველო